**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე - კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი -** ადვოკატი ქ. ყ. /სიითი №/

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 18.05.2023

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** №045/23

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 18 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა, ხოლო 26 ივნისს ზეპირ განხილვაში მიიღო მონაწილეობა ადვოკატმა ქ. ყ.-მ ადვოკატ ფ. კ.-ს წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ფ. კ.-მ, რომელიც არის მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი, თავისი ხელმოწერით მის წინააღმდეგ მოამზადა უსაფუძვლო სარჩელი, სადაც ცილს სწამებს და აყენებს შეურაცხყოფას. 09.03.2023 წელს მისმა ნათესავმა (მამამ) სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ უარს ამბობდა

მისი სახელით აღძრულ უსაფუძვლო სარჩელზე, სარჩელში ასახულ სასარჩელო მოთხოვნაზე და ითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა, აღნიშნული განცხადების საფუძველზე სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება. თუმცა, ადვოკატმა ფ. კ.-მ 10.03.2023 წელს და 13.03.2023 წელს სასამართლოს წარუდგინა მის მიერ მომზადებული და ხელმოწერილი განცხადებები/კერძო საჩივარი, რომლის შინაარსიც ასეთია: „სასამართლოს მივმართავთ, რომ თუ რაიმე სახის განცხადება შემოვა, რომელზეც იქნება მხოლოდ .... ხელმოწერა, ეს იქნება ისევ მოტყუებით მიღწეული ქ. ყ.-ს მიერ და რეაგირება მოახდინოს სასამართლომ მხოლოდ მხარის მის წარმომადგენელთან ერთად გამოცხადების შემთხვევაში და სასამართლო შემადგენლობა დაგვიკავშირდეს, რათა მივაწოდოთ რეალური პოზიცია მხარისა და არა მოტყუებით“. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ფ. კ. ამ განცხადებით მას აყენებს შეურაცხყოფას და თავისი კლიენტი გამოყავს ფაქტიურად შეზღუდულ ქმედუნარიანად.

1.3 საჩივრის ავტორი ყურადღებას ამახვილებს ფრაზეოლოგიაზე, რომელიც მისთვის არის შეურაცხმყოფელი: „ისევ და ისევ მოატყუა“; „შეურაცხყოფა მიაყენა“; „საკუთარმა შვილმა კიდევ ერთხელ მოატყუა“; „მოტყუების ხარჯზე გამდიდრდეს და თავისი ქმედება გახადოს კანონიერი“; „მოტყუებით ჩაიგდო ხელთ გ. ყ.-ს ხელმოწერა განცხადებაზე და არ არის გამორიცხული ქ. ყ.-მ კიდევ სცადოს მოტყუება“; „აქვე დავამატებ, რომ არა ქ. ყ.-ს მოტყუებითი ქმედება, გ. ყ. არ მოახდენდა ამ შინაარსის მქონე განცხადების წარდგენას“. ფ. კ. ასევე უთითებს, რომ თითქოს ქ. ყ.-მ მამა დატოვა შემოსავლის გარეშე, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში და ფ. კ. მისი მისამართით ხშირად იყენებს სიტყვას „მოტყუებას“.

1.4 ადვოკატმა ქ. ყ.-მ 2023 წლის 06 ივლისის შუამდგომლობით მოითხოვა საქმეს დაერთოს 1. ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ქ. ყ.-ს მარწმუნებლის მიმართ არსებული დისციპლინური წარმოების მასალები; 2. კომისიამ გამოითხოვოს ფ. კ.-საგან ზუსტი დროის შესახებ ინფორმაცია, რა დროსაც მას შეხვდა მისი მარწმუნებელი და განუცხადა ადვოკატის მიერ განმარტებაში მოყვანილი გარემოებები; 3. ფ. კ.-ს დაევალოს წარმოადგინოს წერილობითი მტკიცებულება მოტყუებით გარიგების გაგებისა და გ. ყ. -ზე მისი მხრიდან რაიმე ზეწოლის განხორციელების შესახებ; 4. ადვოკატი შუამდგომლობს ამ ინფორმაციების გამოთხოვის შემდეგ უშუალოდ მხარეთა მონაწილოებით წარიმართოს კოლეგიის ზეპირი მოსმენა. კოლეგიამ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან 1. ადვოკატ ფ. კ.-ს დისციპლინური საქმის მასალები არ უკავშირდება განსახილველ საქმეს; 2. – 3. მხარეთა შორის მიმდინარეობს სამოქალაქო დავა, სადაც საქალაქო სასამართლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეაფასებს ფაქტებს 4. ეთიკის კომისია საქმეთა განხილვისას ხელმძღვანელობს ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული წესებით, რომელიც საპროცესო ეტაპზე, საქმეთა განხილვას ორივე მხარის ჩართულობით - არ ითვალისწინებს.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2023 წლის 6 ივლისს ადვოკატმა ფ. კ.-მ ეთიკის კომისიის ზეპირ სხდომაში მიიღო მონაწილეობა, სადაც განმარტა, რომ საჩივრის ავტორი, ადვოკატი ქ. ყ. არის მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე - მოპასუხე კონკრეტულ დავაში. მან, როგორც მოსარჩელე მხარის

ადვოკატმა, თავისი კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხის - ქ. ყ.-ს წინააღმდეგ.

2.2 ადვოკატის პოზიციით, მან არ იცოდა, რომ ქ. ყ. იყო ადვოკატი, თუმცა ქ. ყ.-ს პროფესიული სტატუსი რომც სცოდნოდა, განცხადებას მაინც ასეთი ფორმით დაწერდა, კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე. ადვოკატი განმარტავს, რომ სასამართლოში მარწმუნებლის ნებართვით შეტანილი აქვს განცხადება, რადგან მასთან მხარე მივიდა და განუცხადა, რომ გარიგება დაადებინეს მოტყუებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ტერმინს „მოტყუებით დადებული გარიგება“, მან გამოიყენა საპროცესო ტერმინი, რომლის ჩანაცვლებაც არის შეუძლებელი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მან კლიენტის ინტერესის დასაცავად, გამოიყენა სამართლებრივი ტერმინი და კოლეგის შეურაცხყოფის მიზანი არ ჰქონია. მხარემ აღიქვა, რომ გარიგება დაადებინეს მოტყუებით და მან სარჩელი შეადგინა მხარის მოთხოვნისა და იმ გარემოებების გათვალისწინებით, რაც კლიენტმა უამბო. მისი ხელმოწერილი განცხადების გარდა, მხარემ თავისი ხელმოწერითაც შეიტანა განცხადება სასამართლოში, სადაც ასევე უთითებდა, რომ ქ. ყ.-მ მას განცხადება დააწერინა მოტყუებით.

2.4 ადვოკატის პოზიციით, მისმა განცხადებამ გამოიღო შედეგი, საქმის წარმოება სასამართლოში არ შეწყდა და კლიენტის ინტერესს ზიანი არ მიადგა.

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ფ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატმა ქ. ყ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2023 წლის 18 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ფ. კ.-მ სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტში მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გამოიხატა ფრაზეოლოგიით: „ისევ და ისევ მოატყუა“; „შეურაცხყოფა მიაყენა“; „საკუთარმა შვილმა კიდევ ერთხელ მოატყუა“;

„მოტყუების ხარჯზე გამდიდრდეს და თავისი ქმედება გახადოს კანონიერი“; „მოტყუებით ჩაიგდო ხელთ გ. ყ.-ს ხელმოწერა განცხადებაზე და არ არის გამორიცხული ქ. ყ.-მ კიდევ სცადოს მოტყუება“; „აქვე დავამატებ, რომ არა ქ. ყ.-ს მოტყუებითი ქმედება, გ. ყ. არ მოახდენდა ამ შინაარსის მქონე განცხადების წარდგენას“;

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1).

5.3 კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობაში და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ.

5.4 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

5.5 ადვოკატი ქ. ყ. სადავოდ ხდის ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და განმარტავს, რომ ფ. კ.-მ მას შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოში წარდგენილ დოკუმენტებში და სხვადასხვა კონტექსტში მისი მისამართით იყენებდა სიტყვა „მოტყუებას“. კოლეგიის შეფასებით, უდავოა, რომ ადვოკატი ფ. კ. წარმოადგენდა კლიენტის ინტერესს სამოქალაქო დავაში მოპასუხის, ქ. ყ.-ს მიმართ, რომელიც არის ადვოკატი და შესაბამისად, ადვოკატ ფ. კ.-ს მის მიმართ წარმოეშობა როგორც პროცესის მონაწილის პატივისცემის, ასევე კოლეგის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება. ადვოკატმა ფ. კ.-მ განმარტა, რომ მას კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაწერილი ნორმის ფარგლებში იცავდა კლიენტის ინტერესს.

5.6 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური

წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

5.7 ეთიკის კომისია იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით „მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს“. ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ სადავო ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელმაც კოლეგიას მოაწოდა მტკიცებულება - ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ სასამართლოში წარდგენილი განცხადება, რომლის შინაარსიც შემდეგია:

10.03.2023 წლის განცხადება (ხელს აწერს ადვოკატი ფ. კ.):

*„მოგახსენებთ, რომ თქვენს წარმოებაში განიხილება .... სარჩელი შპს ... და ქ. ყ.-ს წინააღმდეგ. აღნიშნულ საქმეზე .... მიერ შემოტანილ იქნა განცხადება სარჩელის შეწყვეტის და სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების თაობაზე, რაც მოხდა მისი ისევ და ისევ მოტყუებით ქ. ყ.-ს მიერ, თავად შეადგინა ტექსტი ქ. ყ.-მ, წაიყვანა სასამართლოში და აუხსნა, რომ ეს განცხადება საჭირო იყო იმისთვის, რომ უსახსროდ არ დარჩეს და ....შესძლოს თანხის მიღება ყოველთვიურად, რადგან იგი ამ ეტაპზე დარჩა ფინანსური სახსრების გარეშე და ამისთვის საჭიროა მხოლოდ ხელის მოწერა ამ განაცხადზე. ყოველივე ეს მიმართულია იქითკენ, რომ მოპასუხე მხარემ მიაღწიოს სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის გაუქმებას, ვინაიდან თუ ქ. ყ.-ს მიზანი არის მის მიერ მოტყუებით მითვისებული წილის დაბრუნება, აღნიშნული შესაძლებელი არის სასამართლოში მორიგების შესახებ განაცხადის შემოტანის გზით, რათა მხარეები მეტად იყვნენ დაცული.*

*გთხოვთ რეაგირების გარეშე დატოვოთ 09.03.2023 წლის ... განცხადება სასარჩელო საქმის წარმოების შეწყვეტის და გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით.*

*გთხოვთ, 2023 წლის 09 მარტის განაცხადზე არ მიიღოთ განჩინება და მითუმეტეს არ მოხდეს მოპასუხე მხარისათვის გადაცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე აღმოჩნდება გამოუვალ მდგომარეობაში და დაირღვევა მისი უფლებები. ვინაიდან შემოტანილი განცხადება არ შეესაბამება მის ნება-სურვილს და არის მისი მოტყუების გზით მიღწეული.*

13.03.2023 წლის კერძო საჩივარი (ხელს აწერს ადვოკატი ფ. კ.):

*მოგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება სამოქალაქო სარჩელი ... საქმის გამო ქ. ყ.-ს და შპს ... წინააღმდეგ, რომლის დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი გახლავთ ამ ეტაპზე ქ. ყ.. აღნიშნულ საქმეზე ... შუამდგომლობის საფუძველზე გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება. სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს: 1. გათილად იქნეს ცნობილი 08.04.2022 წლის მინდობილობა დამოწმებული ნოტარიუსის ... მიერ, რეგისტრირებული რეესტრში ...., გაცემული ... სახელით ქ. ყ.-ს სახელზე; 2. გათილად იქნეს ცნობილი 10.11.2023 წელს დამოწმებული სადამფუძნებლო შეთანხმება; 3. გათილად იქნეს ცნობილი 10.11.2023 წელს დამოწმებული სამეწარმეო იურიდიული პირის წილის ჩუქების ხელშეკრულება. 4. ... ცნობილი იქნებს შპს ... პარტნიორად და 55 % წილის მესაკუთრედ.*

*სასარჩელო მოთხოვნის გათილად ცნობის საფუძველს შეადგენს მოტყუებით დადებული გარიგება.*

*2023 წლის 9 მარტს ქ. ყ.-მ კვლავ მოატყუა ..., თავად შეადგინა განცხადება სასამართლოში წარსადგენად და აუხსნა, რომ ეს იყო მორიგება იმ პირობით, რომ თუ ხელს მოაწერდა ამ განცხადებას, მას დაუბრუნდებოდა საკუთრებაში მისი წილი შპს ... 55%-ის ოდენობით, ასევე იმ დღესვე წაიყვანა ბანკში და გაახსნევინა ანგარიში, რითიც დაარწმუნა, რომ მას წვდომა ექნებოდა ისევ ისე თანხის ბრუნვასთან, ისევ იქნებოდა შპს-ს დირექტორი და მეწილე და აქედან გამომდინარე საჭირო იყო ახალი ანგარიშის გახსნა.*

*... ყოველივე ამის შემდეგ განმიმარტა, რომ ქ. ყ.-მ დაუბრუნა მას ყველაფერი უკან მორიგების საფუძველზე და ამ მიზნით იყვნენ სასამართლოშიც, სადაც წარადგინეს განცხადება აღნიშნული მორიგების პირობების დამტკიცების მიზნით. ჩემს მიერ გადამოწმებულ იქნა შეტანილი განცხადება, რომელსაც ... აწერდა ხელს და როცა ავუხსენი მისი შინაარსი, მიხვდა, რომ საკუთარმა შვილმა კიდევ ერთხელ მოატყუა. რასთან დაკავშირებითაც მოვახდინე სწრაფი რეაგირება და წარვადგინეთ განცხადება სასამართლოში, რომ 2023 წლის 9 მარტის განცხადება დაეტოვებინათ რეაგირების გარეშე, ვინაიდან მასში გამოხატული ნება არ წარმოადგენს ... ნებას და იყო მოტყუებით ხელმოწერა განხორციელებული.*

*ჩვენს მიერ განცხადების წარდგენამდე გაირკვა, რომ სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა განჩინება 2023 წლის 9 მარტის განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც დაკმაყოფილდა .... განცხადება, თუმცა განცხადება შედგენილია ქ. ყ.-ს მიერ, სასამართლოში თავად ახლდა და მოაწერინა ხელი მოტყუებით, ფაქტიურად პირდებოდა რომ წილი უბრუნდებოდა, თუმცა აღნიშნული განცხადება იყო მის სასარგებლოდ და მის ინტერესებში შედიოდა შეწყვეტილიყო სასარჩელო დავა მხარეებს შორის.*

*აქვე დავამატებ, რომ არა ქ. ყ.-ს მოტყუებითი ქმედება, ... არ მოახდენდა ამ შინაარსის მქონე განცხადების წარდგენას, აქვე საგულისხმოა, ისიც, რომ თუ ქ. ყ.-ს რეალურად გააჩნია სურვილი დაუბრუნოს მას საკუთრებაში წილი, არ სჭირდება მალულად განცხადების მამისათვის შეტანინება, რადგან მას შეეძლო, დაკავშირება ... წარმომადგენელთან, ჩაბარებული ჰქონდა იმ დღისათვის სარჩელი და თანდართული მასალები და მას ჰქონდა*

*წვდომა დამკავშირებოდა და მორიგება შეგვედგინა წერილობითი ფორმით სასამართლოსთვის დასამტკიცებლად, თუმცა მას ამის სურვილიც კი არ გამოუხატავს და მოტყუებით ჩაიგდო ხელთ ... ხელმოწერა განცხადებაზე. არ არის გამორიცხული, რომ ქ. ყ.-მ კიდევ სცადოს მამის მოტყუება, რომ თითქოსდა უკან უფორმებს თავის წილს, ნანობს თავის ასეთ საქციელს და დამატებით კიდევ სხვა ტიპის განცხადებაზე მოაწერინოს ხელი, რათა საბოლოოდ მიაღწიოს საქმის წარმოების შეწყვეტას სასამართლოში, მაშინ როცა მორიგება შესაძლოა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით და ... მორიგების მზაობა დღემდე გააჩნია.*

*ქ. ყ.-ს მიერ განხორციელებული ქმედება და მისი სიცრუე ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ კიდევ იქნეს მის მიერ გამოყენებული ცრუ დაპირებები, რითიც ცდილობს დაითანხმოს ... მის სასარგებლოდ მის მიერვე შედგენილ განცხადებას თუ ნებისმიერ დოკუმენტს მოაწეროს ხელი. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მივმართავთ, რომ თუ რაიმე სახის განცხადება შემოვა რომელზეც იქნება მხოლოდ .... ხელმოწერა, ეს იქნება ისევ მოტყუებით მიღწეული ქ. ყ.-ს მიერ და რეაგირება მოახდინოს სასამართლომ მხოლოდ მხარის მის წარმომადგენელთან ერთად გამოცხადების შემთხვევაში და სასამართლო შემადგენლობა დაგვიკავშირდეს, რათა მივაწოდოთ რეალური პოზიცია მხარისა და არა მოტყუებითი.*

*2023 წლის 9 მარტის განცხადების საფუძველზე 10.03.2023 წელს მიღებული განჩინების საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თანახმად მოსარჩელე მხარეს თუ იგი შევა კანონიერ ძალაში ესპობა უფლება ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოთი, იგი დაზარალდება იმგვარად, რომ აღნიშნულ საკითხზე ველარ იდავებს იმავე საფუძვლით, იმავე საგანზე, რაც მოპასუხე მხარეს შეუქმნის შესაძლებლობას მოტყუების ხარჯზე გამდიდრდეს და თავისი ქმედება გახადოს კანონიერი, ხოლო ... ველარ შეძლებს საკუთარი ქონება, რომელიც მოტყებით მიიღო მოპასუხე მხარემ, დაიბრუნოს უკან.*

*ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გთხოვთ: მიიღოთ წარმოებაში საჩივარი; გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 10 მარტის განჩინება; მოხდეს ....სარჩელის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე.*

5.8 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ადვოკატი ფ. კ., კლიენტის სახელით სადავოდ ხდიდა გარიგების ნამდვილობას, რისთვისაც მან გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-84 მუხლებით გათვალისწინებული წესები, რომლებიც შეეხება მოტყუებით დადებულ გარიგებას. შესაბამისად, ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის საპროცესო უფლების განხორციელება და არა მისი კლიენტის მოპასუხის, ადვოკატ ქ. ყ.-ს შეურაცხყოფა. კოლეგია მიუთითებს, რომ ადვოკატ ქ. ყ.-სთვის აღნიშნული დავა წარმოადგენდა მგრძნობიარე საკითხს, რადგან შეეხებოდა მისი ოჯახის საქმეს, თუმცა ადვოკატმა ფ. კ.-მ კლიენტის ინტერესის დასაცავად დააყენა მოთხოვნა, გამოიყენა სამართლებრივი ტერმინი და მოთხოვნასთან მიმართებით, მას ობიექტურად დასჭირდა ქმედების აღწერა. შესაბამისად, ადვოკატ ფ. კ.-ს არ დაურღვევია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლით დადგენილი კოლეგის პატივისცემის ვალდებულება.

## III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №045/23 ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/